„დამტკიცებულია”
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი

_____ს. ტეფნაძე
_____ _____2021
დადგენილება № _____

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

2021-24 წლების კვლევითი განვითარების სტრატეგია

ძირითადი ასლი

1. სარჩევი

1. სარჩევი 2
i. ცვლილებები 3
ii. ცვლილებების ისტორია 4
iii. მოქმედი გვერდების სია 5
2. დოკუმენტაციის კონტროლი 6
3. ძირითადი ნაწილი 7
მუხლი 1. სტრატეგიის მიზნები და ამოცანები 7
მუხლი 2. კვლევითი საქმიანობის საუნივერსიტეტო მხარდაჭერის მექანიზმები 7
მუხლი 3. მმართველი საბჭოს უფლებამოსილება კვლევის განვითარებაში 7
მუხლი 4. კვლევითი საქმიანობის ორგანიზაციული მხარდაჭერის სტრუქტურები 7
მუხლი 5. სამეცნიერო კვლევის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების სისტემა 8
მუხლი 6. საუნივერსიტეტო კვლევების ინფორმაციული მხარდაჭერა 8
მუხლი 7. უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი 9
მუხლი 8. აკადემიური კეთილსინდისიერება და პლაგიატთან ბრძოლა 9
მუხლი 9. აკადემიური პერსონალის კვლევაში ჩართულობის გაზრდა 10
მუხლი 10. აკადემიური პერსონალის ატესტაცია 10
მუხლი 11. კვლევის ხარისხის შეფასების ინდიკატორები 11

i. ცვლილებები

ცვლილების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და რექტორის მონაწილეობით. შეცვლილი წესი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება ზემოაღნიშნული პროცედურის დარღვევით.

შედგენილია:	დამტკიცებულია:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	რექტორი
თარიღი:	თარიღი:

ამოღებული გვერდი				დამატებული გვერდი			
თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი	თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი

ii. ცვლილებების ისტორია

ცვლილების №	ცვლილების საფუძველი	შეცვლილი გვერდები	თარიღი	ცვლილების ინიციატორი

iii. მოქმედი გვერდების სია

თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი		თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი
0	1	0	აპრილი 2021					
1	2	0	აპრილი 2021					
i	3	0	აპრილი 2021					
ii	4	0	აპრილი 2021					
iii	5	0	აპრილი 2021					
2	6	0	აპრილი 2021					
3	7	0	აპრილი 2021					
3	8	0	აპრილი 2021					
3	9	0	აპრილი 2021					
3	10	0	აპრილი 2021					
3	11	0	აპრილი 2021					

2. დოკუმენტაციის კონტროლი

დოკუმენტაციის კონტროლი ხორციელდება ხარისხის სახელმძღვანელოში გაწერილი წესებისა და პროცედურების მიხედვით. ამ წესებისა და პროცედურების მიზანია შეიქმნას სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მისცემს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას ორგანიზაციაში. ყველა კონტროლირებადი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და შეინახოს იმ ფორმატითა და წესებით, რომელიც გაწერილია ხარისხის სახელმძღვანელოში. ეს შექმნის პროცედურების სისტემას, რომელშიც დოკუმენტების შექმნა, განახლება და გავრცელება მოხდება ადვილად.

დოკუმენტების დასაგზავნი სია

ორგანიზაცია	ფორმატი	ასლის ნომერი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ბეჭდური	ძირითადი ასლი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
ვებ-გვერდი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია

3. ძირითადი ნაწილი

მუხლი 1. სტრატეგიის მიზნები და ამოცანები

1. საუნივერსიტეტო განათლების განხორციელება წარმოუდგენელია უნივერსიტეტის ფარგლებში კვლევითი საქმიანობის განვითარების გარეშე. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის პოტენციალისა და მისი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობის ზრდა შეუძლებელია უნივერსიტეტის, მისი აკადემიური პერსონალის და მისი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სამეცნიერო კვლევის აქტუალობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობის და გამოყენებადობის ხარისხის გაზრდის გარეშე.
2. წინამდებარე სტრატეგია მიზნად ისახავს უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევის ორგანიზებისა და მხარდაჭერის ღონისძიებების განსაზღვრას, კვლევაში ჩართული და კვლევის მხარდაჭერასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი პირების წრეს, საუნივერსიტეტო კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმებს, კვლევის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებს და კვლევის განხორციელების ზოგად პოლიტიკას.
3. კვლევითი საქმიანობის ეფექტურობა და სამეცნიერო კვლევაში ჩართულობა არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის ხარისხის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი.

მუხლი 2. კვლევითი საქმიანობის საუნივერსიტეტო მხარდაჭერის მექანიზმები

1. სამეცნიერო კვლევის საუნივერსიტეტო მხარდაჭერის სისტემა მოიცავს კვლევების მხარდამჭერი ორგანიზაციული სტრუქტურების, კვლევის შეფასების ინდიკატორების, საუნივერსიტეტო საგრანტო სისტემის, პლაგიატის საწინააღმდეგო მექანიზმის და ინფორმაციული უზრუნველყოფის დანერგვას.

მუხლი 3. მმართველი საბჭოს უფლებამოსილება კვლევის განვითარებაში

1. კვლევით საქმიანობის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას, კვლევის ავტორის განაცხადის გარე დამოუკიდებელი შეფასების გათვალისწინებით იღებს უნივერსიტეტის მმართველი საბჭო.

მუხლი 4. კვლევითი საქმიანობის ორგანიზაციული მხარდაჭერის სტრუქტურები

1. უნივერსიტეტის საერთო მიზნებთან და გეგმებთან შესაბამისობაში, სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით შექმნილია სამეცნიერო კვლევითი ცენტრი.
2. სამეცნიერო კვლევითი ცენტრი უზრუნველყოფს უნივერსიტეტში აკადემიური და სამეცნიერო კვლევის განვითარების ხელშეწყობას, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვა-შეფასების პროცესების კოორდინაციას, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების განხორციელების ორგანიზაციულ მხარდაჭერას, კვლევის ფარგლებში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის კონტროლს.
3. სამეცნიერო კვლევითი ცენტრის უფლებამოსილებები თავისი ამოცანების მისაღწევად შემდეგია:
   3.1. შეიმუშავებს უნივერსიტეტის კვლევითი ღონისძიებების გეგმას;
   3.2. ორგანიზებას უწევს საუნივერსიტეტო კვლევით აქტივობებს (კონფერენციები, სემინარები, ვორქშოპები და სხვა);
   3.3. მონაწილეობს კვლევითი ნაშრომების რევიუს და რეცენზირების პროცესის შესაბამისი კადრებით დაკომპლექტების პროცესში;
   3.4. აანალიზებს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის და უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრების ანგარიშებს;
   3.5. ადმინისტრირებას უწევს საუნივერსიტეტო კვლევით გრანტებს;

3.6. ამზადებს დასკვნას აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაზე და შეიმუშავებს რეკომენდაციებს აკადემიური კვლევის უნივერსიტეტში განვითარებისთვის;
3.7. უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ფარგლებში აკადემიური პატიოსნების დაცვას და მონაწილეობს პლაგიატის საწინააღმდეგო ღონისძიებების დანერგვაში;
3.8. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურთან ერთად, შეიმუშავებს და ადმინისტრირებას უწევს კვლევით საქმიანობას ინტერნაციონალიზაციის მიზნით, საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესში;
3.9. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურთან ერთად, უზრუნველყოფს ერთობლივი საგრანტო, სასტიპენდიო და კვლევითი პროექტების კოორდინირებას უნივერსიტეტის სახელით;
3.10. ზრუნავს უცხოელი მკვლევარების უნივერსიტეტში მოწვევაზე.

4. სამეცნიერო კვლევის განსახორციელებლად უნივერსიტეტის, მისი ცალკეული საგანმანათლებლო ერთეულისა ან საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების ფარგლებში, შესაძლებელია შეიქმნას დამოუკიდებელი კვლევითი ერთეული. (ინსტიტუტი, დეპარტამენტი, ცენტრი და ა. შ.)
5. დამოუკიდებელი კვლევითი ერთეული ხელმძღვანელობს თავის მიერ შემუშავებული დებულებით და მმართველ საბჭოსთან კოორდინაციაში დამოუკიდებლად ახორციელებს შესაბამისი მიმართულების კვლევებს, თავის მიერ მოძიებული, უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი, თუ საუნივერსიტეტო გრანტის ფარგლებში მიღებული ბიუჯეტისა და უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს მიერ დამტკიცებული კვლევითი გეგმის შესაბამისად.

მუხლი 5. სამეცნიერო კვლევის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების სისტემა

1. უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და წახალისებისთვის, უნივერსიტეტი ფინანსური დაგეგმვის დროს, ითვალისწინებს კვლევითი პროექტების დაფინანსებისთვის დადგენილ ბიუჯეტს და ადგენს კვლევების დაფინანსების, თანადაფინანსებისა და დაფინანსებაზე უარის თქმის წესს, პროცედურებსა და უფლებამოსილ ორგანოებს.
2. უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წყაროებია:
   2.1. უნივერსიტეტის ბიუჯეტის კვლევითი ერთეულისთვის გამოყოფილი გეგმური დაფინანსება;
   2.2. საუნივერსიტეტო გრანტის ფარგლებში მიღებული დაფინანსება;
   2.3. გარე წყაროებიდან მიღებული დაფინანსება;
   2.4. აღნიშნული დაფინანსების გამოყენება შესაძლებელია კვლევითი პროექტის როგორც სრულად, ასევე, თანადაფინანსებისთვის.
   2.5. კვლევებისთვის დადგენილი ბიუჯეტის ოდენობა უნდა იყოს შენარჩუნებული ან გაზრდილი ყოველი მომავალი წლისათვის.

მუხლი 6. საუნივერსიტეტო კვლევების ინფორმაციული მხარდაჭერა

1. საერთაშორისო და ადგილობრივ კვლევით პროექტებში უნივერსიტეტის ჩართულობის გაზრდის მიზნით, უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური პერსონალისა და მკვლევარების ინფორმირებულობის დონის გაზრდაზე, კვლევითი პროექტებისა და მასში მონაწილეობის შესაძლებლობების თაობაზე, ასევე აკადემიური საზოგადოების ინფორმირებისთვის, უნივერსიტეტის სამეცნიერო და კვლევით მიღწევებზე.
2. სამეცნიერო კვლევითი ცენტრი მიაწვდის ინფორმაციას უნივერისტეტის პერსონალს და სტუდენტებს ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების შესახებ, დაინტერესებულ პირებს უტარებს კონსულტაციებს და ეხმარება სასურველი გრანტის მოძიებაში.

3. სამეცნიერო-კვლევითი გრანტის ადმინისტრირებასა და კოორდინირებაში უნივერსიტეტის მონაწილეობის პირობა არის პროექტში აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტის სახელით ჩართულობა.
4. აკადემიური პერსონალის ინფორმირებულობისა და საერთაშორისო კვლევით პროექტებში ჩართულობის გაზრდის მიზნით უნივერსიტეტი ახორციელებს ყოველწლიურ ტრენინგებს შემდეგ თემატიკაზე:
   4.1. სამეცნიერო კვლევითი პროექტის დაწერა
   4.2. სამეცნიერო გრანტის მენეჯმენტი
   4.3. სამეცნიერო აკადემიური უნარები
5. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კვლევითი მოღვაწეობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, უნივერსიტეტი ზრუნავს თავისი გამოცემების რეიტინგისა და სანდოობის ამაღლებაზე, ასევე მათ ინდექსირებადობაზე მსოფლიო სამეცნიერო გამოცემების ბაზაში.

მუხლი 7. უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი

1. უნივერსიტეტი გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალს - საჰაერო ტრანსპორტი.
2. უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი გამოიცემა 6 თვეში ერთხელ.
3. კონკრეტულ მიმართულების სამეცნიერო სტატიები შესაძლებელია გამოცემულ იქნას უნივერსიტეტის რიგგარეშე, სპეციალურ გამოცემაში.
4. ჟურნალი დაყოფილია ძირითად მიმართულებებად, რომლებიც შეესაბამება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.
5. სამეცნიერო ჟურნალის ადმინისტრირებას ახორციელებს ჟურნალის სარედაქციო კოლეგია და სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომლებიც ერთობლივად შეიმუშავებენ და მმარველ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენენ ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკას.
6. თითოეული მიმართულებისთვის სარედაქციო კოლეგია იწვევს სპეციალისტებს. დასაშვებია სარედაქციო საბჭოში სხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლების ან/და უცხოელი სპეციალისტების მოწვევა.
7. თითოეული მიმართულების სამეცნიერო ნაშრომები დაექვემდებარება სავალდებულო რეცენზირებას (peer review).
8. რეცენზირება განხორციელდება სტატიის პირველადი შემოწმების (desk review), შესაბამისი დარგის სპეციალისტების მოწვევით (blind review) ან საჯარო რეცენზირებით სამეცნიერო საზოგადოების ქსელში (crowd review), რისთვისაც უნივერსიტეტი შეიმუშავებს შესაბამის პროგრამულ და საინფორმაციო უზრუნველყოფას.
9. უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალში სტატიის განთავსება უფასოა და კვლევითი ნაშრომის პუბლიკაციასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ფინანსდება უნივერსიტეტის მიერ.
10. საავტორო უფლებები გამოქვეყნებულ ნაშრომზე რჩება მის ავტორებს/თანაავტორებს.
11. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ავტორთან შეთანხმების გარეშე უსასყიდლოდ გაავრცელოს შესაბამისი სამეცნიერო სტატიების კრებული მის მიერ არჩეული ფორმით, გამოიყენოს იგი სამეცნიერო კვლევისა და საბიბლიოთეკო ფონდების განვითარებისთვის.

მუხლი 8. აკადემიური კეთილსინდისიერება და პლაგიატთან ბრძოლა

1. უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, იყოს მის ფარგლებში ან მისი სახელით ჩატარებული საგანმანათლებლო და კვლევით პროცესში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის გარანტი,

ასევე გამოავლინოს და შესაბამისი რეაგირება მოახდინოს აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევაზე, გაატაროს პლაგიატთან ბრძოლის პოლიტიკა, დანერგოს აკადემიური პატიოსნების დარღვევისა და ამ დარღვევებზე დისციპლინარული რეაგირების მექანიზმები, ასევე, განსაკუთრებით მკაცრი ზომები გაატაროს პლაგიატისა და მისი რეციდივის შემთხვევაში.

2. პლაგიატად მიიჩნევა სხვისი ნაშრომის განზრახ მითვისება, მთლიანად ან ნაწილობრივ მისი როგორც საკუთარის, გამოყენება ან მისი მცდელობა, კერძოდ:
   2.1. სხვისი ინტელექტუალური შრომის ნაყოფის მითვისება;
   2.2. საკუთარი სახელით სხვისი ნამუშევრის ან მისი ნაწილის წარდგენა;
   2.3. სხვისი ნამუშევრის გამოყენება ციტირების მოთხოვნილი წესის დაცვის გარეშე;
   2.4. წარმოდგენილ ტექსტში სხვისი ნაშრომით სიტყვასიტყვითი ციტირება, სიტყვითი ან წინადადების წყობის ცვლილება, შინაარსის ცვლილების გარეშე, სხვისი ნამუშევრიდან გამომდინარე დასკვნების მოყვანა წყაროს მითითების გარეშე.
3. უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, მის მიერ ორგანიზებულ/კოორდინირებულ სამეცნიერო საქმიანობაში გამოიყენოს პლაგიატის აღმომჩენი კომპიუტერული პროგრამა და სხვა ამისთვის აუცილებელი ინფორმაციული რესურსი.
4. პლაგიატის საწინააღმდეგო სისტემა ინტეგრირებულია აკადემიური საქმიანობის ყველა დონეზე. პლაგიატზე შემოწმებას გაივლის ყველა სამეცნიერო ნაშრომი, უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნილი/თარგმნილი ნებისმიერი ლიტერატურა.

მუხლი 9. აკადემიური პერსონალის კვლევაში ჩართულობის გაზრდა

1. უნივერსიტეტი ყველა მომდევნო აკადემიური კონკურსის ჩატარებამდე, აკადემიური პერსონალისა ან ლექტორისთვის კონტრაქტის გაგრძელების დროს, ითვალისწინებს მათ სამეცნიერო კვლევით პოტენციალსა და სამეცნიერო კვლევაში ჩართულობას.
2. უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, კვლევების განვითარების სამსახურთან ერთად, ახორციელებს უნივერსიტეტის პერსონალის კვლევითი მუშაობის შეფასებას, კვლევაში ჩართულობის და სწავლების პროცესში კვლევის კომპონენტის ჩართულობის მიხედვით. კვლევაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც აკადემიური პერსონალი ასევე სტუდენტები.
3. კვლევის შედეგები საფუძვლად უდევს უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევის განვითარების სამოქმედო გეგმებს.

მუხლი 10. აკადემიური პერსონალის ატესტაცია

1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მუშაობა განზოგადებულად ფასდება 5 წელიწადში ერთხელ (პროფესორების ატესტაცია).
2. ატესტაციას ერთ-ერთ კრიტერიუმად საფუძვლად უდევს აკადემიური პერსონალის ვალდებულება, შეასრულოს შემდეგი სამი პუნქტიდან რომელიმე, ან მისი სამეცნიერო აქტივობების ჯამს ჰქონდეს მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა უნივერსიტეტის სამეცნიერო აქტივობაში:
   2.1. 5 წელიწადში გამოაქვეყნონ 2 სტატია, აქედან მინიმუმ ერთი რეფერირებულ ჟურნალში;
   2.2. 5 წელიწადში 3 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მიღება;
   2.3. 5 წელიწადში 2 საერთაშორისო ან ადგილობრივი სამეცნიერო გრანტი.
3. კონკრეტული მიმართულების აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის შესაძლებელია დაწესდეს კვლევითი მუშაობის ეფექტურობის შეფასების დამატებითი კრიტერიუმები.

მუხლი 11. კვლევის ხარისხის შეფასების ინდიკატორები

1. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო კვლევის შეფასების საუნივერსიტეტო ინდიკატორებია:
   1.1. სამეცნიერო პუბლიკაციები უნივერსიტეტის გამოცემებში;
   1.2. სამეცნიერო პუბლიკაციები სხვა გამოცემებში საქართველოში და საზღვარგარეთ;
   1.3. სამეცნიერო პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის მქონე გამოცემებში;
   1.4. საუნივერსიტეტო გრანტები;
   1.5. კვლევითი გრანტები;
   1.6. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;
   1.7. გამოქვეყნებული სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები;
   1.8. ციტირებათა რაოდენობა;
   1.9. ჰირშის ინდექსის მაჩვენებელი - ციტირებულ ნაშრომთა რაოდენობის თანაფარდობა ნაშრომთა საერთო რაოდენობასთან.